თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 1

10 იანვარი 2018 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 26 დეპუტატი;

სხდომას თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე;

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე — გიგა ორკოდაშვილი;

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე — დავით ღაღანიძე;

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — ალექსანდრე შათირიშვილი;

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — ნანა ხვისტანი;

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე — დავით გოგოშვილი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე — ლევან ლილუაშვილი

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -კონსერვატორები" თავმჯდომარე — მაია მარკოზაშვილი

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები" თავმჯდომარე — ტიტე დარეჯანიშვილი

საკრებულოს წევრები: ალექსანდრე კუპატაძე, ლელა მენთეშაშვილი,არჩილი თვალიაშვილი, ბესიკი ქოჩიშვილი, გიორგი ჩაბრაშვილი, გურამი წულუკიძე, ვასილი არაბული, ლევან მრელაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, გიგა მამუკელაშვილი, გიორგი ქიზიყელაშვილი, ზურაბი ლილუაშვილი, მიხეილ გრემელაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, ბესიკ გაიპარაშვილი, აბრამ მახარიაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერი შოთა ნარეკლიშვილი, მერის პირველი მოადგილე გიორგი თუშიშვილი, მერის მოადგილე გუგა გურაბანიძე, მერიის საფნანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ნათია ვაყელიშვილი, საკრებულოს აპარატის და მერიის საჯარო მოხელეები. საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის მოწვევის მიზეზი და დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

14.00სთ-დან - 14.30 სთ-მდე
მომხს. შ.ნარეკლიშვილი

აღნიშნული სახით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

14.00სთ-დან - 14.30 სთ-მდე
მომხს. შ.ნარეკლიშვილი

მუნიციპალიტეტის მერმა შ.ნარეკლიშვილმა აღნიშნა, რომ 2018 წლის ბიუჯეტის მიღებასთან დაკავშირებით დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება შესაბამისი პროცედურების დაცვის მიზნით, მაგრამ სტიქიურმა მოვლენამ საჭირო გახადა ბიუჯეტის პროექტის ნაჩქარევი დამტკიცება, რათა დროულად მოხდეს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები. მან ისაუბრა 2018 წლის ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებზე და დასძინა, რომ სამუშაო რეჟიმში, საკრებულოს კომისიების და ფრაქციების მიერ დაყენებული საკითხები ბიუჯეტის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ნაშთის ასახვის პროცესში გათვალისწინებულ იქნება 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანისას.

აზრი გამოთქვეს: ლ.მრელაშვილმა აღნიშნა, რომ გაცნობილია ბიუჯეტის პროექტს და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი დამტკიცება, თუმცა საინტერესოა რომელ მუხლიდან მოხდება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაობის დაფინანსება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება საქართველოს მთავრობასთან და სტიქიის შედეგად მუნიციპალიტეტისათვის მიყენებული ზარალის აღრიცხვის შემდგომ მთავრობა იმსჯელებს შესაბამისი თანხების გამოყოფაზე.

გ.მამუკელაშვილმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ პროექტს და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია დროულად მოხდეს დაზიანებული სახურავების შეკეთება, რადგან მოსალოდნელია ამინდის გაუარესება და მოსახლეობას დახმარება უნდა აღმოვუჩინოთ შემჭიდროვებულ ვადებში.

დაადგინეს: დამტკიცდეს თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი წარმოდგენილი სახით. (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 23 (ოცდასამმა) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს: ლ.მენთეშაშვილმა, ა.კუპატაძემ, ა.მახარიაშვილმა).

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე